# თბილისის დინამოელთა ტრიუმფი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 91 (6902)

14 მაისი. 1981 წ. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინ თბილისის დინამოელებმა დიუსელდორფში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში დაამარცხეს იენის „კარლ ცაისი“ და მოიპოვეს

# სანუკვარი ჯილდო!





## „დინამო“ (სსრკ, თბილისი) – „კარლ ცაისი“ (გდრ, იენა) 2:1.

ახლა, როცა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მოიპოვეს თავიანთი არსებობის მანძილზე ეს უდიდესი გამარჯვება, როცა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ჩაწერეს ახალი სახელოვანი ფურცელი, როცა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს, ამ სანუკვარ პრიზს თბილისისკენ აქვს გეზი აღებული, ძნელია, ძალზე ძნელი, სიტყვებით გამოხატო ის სიხარული, ის ალმაფრენა, რასაც განიცდის თითოეული ჩვენგანი, რასაც გრძნობს ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი სპორტი, ვინც თვალის ჩინივით უფრთხილდება ეროვნულ საგანძურს, ვისთვისაც ქართული ფეხბურთის პრესტიჟი სისხლხორცეული ამბავია.

რა თქმა უნდა, ჩვენ კვლავ და კვლავ დავუბრუნდებით 13 მაისის ფინალური მატჩის პერიპეტიებს იენის „კარლ ცაისთან“, სპორტის მოყვარულებს მივაწვდით ყველა საინტერესო ცნობას, ფოტომასალას, პრესის გამონათქვამს, სპეციალისტთა მოსაზრებებს, ახლა კი, შეგახსენებთ გუშინდელი მატჩის მსვლელობას:

მატჩის ტემპი დასაწყისში არ იყო მაღალი, იგრძნობოდა ნერვიულობა, თუმცა შუა ტაიმიდან მინდვრის შუაგული დაიპყრეს დინამოელებმა. ტაიმი დამთავრდა ფრედ — 0:0.

62-ე წუთზე ანგარიში გახსნა „კარლ ცაისის“ ცენტრალურმა მცველმა ჰოპემ, რომელიც სწრაფად გავიდა წინ, მარცხნიდან მოწოდებულ ბურთზე —1:0.

4 წუთის შემდეგ დინამოელთა კონტრშეტევისას შენგელიამ კარგად გაიყვანა გარღვევაზე გუცაევი, რომელმაც ზუსტი დარტყმით ბურთი მოათავსა მეტოქის კარის ბადეში — 1:1. 87-ე წუთზე კი დარასელიამ თავისი შესანიშნავი რეიდი მეორე გოლით დაამთავრა, რომელმაც თბილისის „დინამოს“ მოუტანა სანუკვარი გამარჯვება —2:1.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1981 წლის გამარჯვებული ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია. გუნდს ხელმძღვანელობდნენ ნ. ახალკაცი, კ. ასათიანი, ს. კუტივაძე.

ფეხბურთის ასიათასობით გულშემატკივრის იმედი, რომ საყვარელი გუნდი, თბილისის „დინამო“ გაიმარჯვებდა, ასრულდა. დინამოელებმა ღირსეულად წარმოაჩინეს ჩვენი სპორტი დიუსელდორფის „რეინშტადიონზე“ და მოიპოვეს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პრიზი — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი.

ეს ფაქტი მით უფრო სასიხარულო და საამაყოა, რომ გამარჯვება ჩვენმა ბიჭებმა გამოსჭედეს ღირსეულ მეტოქესთან ძნელ, მეტად დაძაბულ ბრძოლაში.

თქმა არ უნდა, ეს გამარჯვება განსაკუთრებულ ელფერსა და სილამაზეს იძენს ამ გაზაფხულის დღეებში, მაშინ, როდესაც რესპუბლიკა დიდი ზეიმისთვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისთვის ემზადება. გამარჯვებულ ქვეყანას ამშვენებს და ალაღებს სასახელო მიღწევები!

* * *

სურათებზე მომენტები მატჩებიდან: „დინამო“ — „კასტორია“, „დინამო“—„უოტერფორდი“, „დინამო“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“, „დინამო“ — „ფეიენოორდი“.









# გზა საპატიო პრიზისაკენ

# რესპუბლიკის სპორტული მატიანე

საბჭოთა საქართველო 60

## 1. ასე იწყებოდა...

სახელოვანი და საამაყო გზა განვლო საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურულმა მოძრაობამ. ეს არის ჭეშმარიტად გრანდიოზულ გარდაქმნათა 60 წელი, პერიოდი, როცა შეიქმნა და განმტკიცდა ფიზიკური აღზრდის მეცნიერული, მყუობრი სისტემა. შორს გაუვარდა სახელი ქართულ სპორტს. ამ მოძრაობამ 20-იანი წლების პირველ ნახევარში ფიზკულტურულ წრეებში აიდგა ფეხი, თანდათან გადაიზარდა მასობრიობაში და ახლა საყოველთაო-სახალხო განვითარების გზას ადგას.

რედაქციამ გადაწყვიტა მკითხველს გააცნოს საბჭოთა საქართველოს 60-წლიანი სპორტული მატიანის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები. საუბარს ვიწყებთ ოციან წლებში გადადგმული პირველი ნაბიჯების მიმოხილვით.

### 1922-1929

1922 წელს, მას შემდეგ, რაც სახკომსაბჭოს დადგენილებით რესპუბლიკაში არსებობა შეწყვიტა ადრინდელმა სპორტულმა საზოგადოებებმა „შევარდენმა“, „სკაუტმა“ და „სოკოლმა“, კომკავშირის თაოსნობით შეიქმნა ახალგაზრდულ-სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკი“. ეს ორგანიზაცია 1923 წლამდე, ვიდრე საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო შეიქმნებოდა, სათავეში ედგა მთელი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. დღის წესრიგში დადგა ისეთი ორგანიზაციული ფორმის შემუშავება, რომელიც მშრომელებს მასობრივად მიიზიდავდა ფიზკულტურასა და სპორტში. იმავე 1923 წელს, ამ მიზნით თბილისის მუშათა კოლექტივებში გაიხსნა პირველი ფიზკულტურული წრეები, რომელთაც პროფკავშირი ხელმძღვანელობდა. პირველი ფიზკულტურული წრეები გაჩნდა, აგრეთვე, სასწავლებლებში. სტუდენტთა ასეთი წრეები კი პირველად შეიქმნა პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. ამავე წელს ჩამოყალიბდა სპორტსაზოგადოება „დინამო“.

ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით სისტემატურად ტარდებოდა სააგიტაციო ლაშქრობები და კროსები. მალე თბილისში პირველი რესპუბლიკური ასპარეზობაც მოეწყო. მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი სპორტის საერთაშორისო სახეობები, რის გამოც ამ შეჯიბრების პროგრამაში ძირითადად მხოლოდ მძლეოსნური და ტანვარჯიშული ილეთები შეიტანეს. გარდა ამ სახეობებისა, გააქტიურდა ფეხბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის, ჭიდაობისა და ძალოსნობის სექციების მუშაობა.

საქართველოს სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე პირველად 1922 წელს გავიდნენ — მონაწილეობა მიიღეს „ვსევობუჩის“ პირველობაში. მძლეოსანმა ა. ჭელიძემ მაშინ პირველად მოსკოვში იხილა კალათბურთი და თბილისში დაბრუნებისთანავე ხელი მოჰკიდა სპორტის ამ სახეობის დანერგვას. უკვე ხუთი წლის შემდეგ, 1927 წელს ქუთაისში ჩატარდა კალათბურთელთა პირველი რესპუბლიკური პირველობა. იმავე წელს საქართველოს კალათბურთელთა გუნდი მოსკოვში მიემგზავრება და პირველ ადგილზე გამოდის არმიელთა საკავშირო შეჯიბრებაში.

**1923 წელი** საბჭოთა სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც ალპინიზმის დაბადების თარიღი. 28 აგვისტოს საქართველოს მთამსვლელებმა პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოაწყეს პირველი ასვლა მყინვარწვერზე, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალად ითვლება. ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით კი 3 სექტემბერს ახალი ჯგუფი ავიდა ამ მწვერვალზე.

ახალგაზრდებსა და მუშებს შორის სპორტის პროპაგანდას დიდად შეუწყო ხელი, აგრეთვე, ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კავშირის პირველმა საფეხბურთო ოლიმპიადამ. ეს ღონისძიებაც 1923 წლის თარიღით შევიდა ქართული სპორტის მატიანეში. ამ პერიოდიდან ფიზკულტურული წრეები მასობრივად იხსნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ადგილებზე ტარდება სპორტული ასპარეზობანი და ერთიანი ღონისძიებები. საუკეთესონი კი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოდიან და დროდადრო გამართულ შეჯიბრებებში ცდიან ძალებს.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ცხენთგამოცდის საგანგებო კომიტეტი. დიდუბის იპოდრომზე ორგანიზაციულად განახლდა დოღების ჩატარება, რომელსაც ეს კომიტეტი უწევდა ხელმძღვანელობას.

კომკავშირის ყრილობაზე, რომელიც **1924 წელს** გაიმართა თბილისში, ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემაზეც იყო სჯა-ბაასი, ყრილობაზე სიამაყით აღინიშნა, რომ 49 ფიზკულტურულ წრეში მომეცადინეთა ექვსი ათასი ახალგაზრდიდან ოთხი ათასი კომკავშირელი იყო. ამ წელს რესპუბლიკას საკავშირო სარბიელზე პირველი წარმატება მოუტანეს ძმებმა ვლადიმერ და ბორის დიაჩკოვებმა, ივანე სერგეევმა.

**1925 წელს** შეიქმნა ფიზიკური კულტურის, ამიერკავკასიის სამხარეო საბჭო, და მან დიდი როლი შეასრულა მოძმე რესპუბლიკების ფიზკულტურულ მოძრაობებში. საბჭოს თაოსნობით გაიმართა ამიერკავკასიის ხალხთა პირველი სპარტაკიადა 13 სახეობაში. საქართველოს დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აჭარის ტანმოვარჯიშეთა და ფეხბურთელთა გუნდები, საჩვენებელი გამოსვლები გამართა თურქეთში. 1925 წელს გამოვიდა ქართული სპორტული ჟურნალი „ფიზიკური კულტურა“. მანამდე არსებობდა ჟურნალი „შევარდენი“, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოვიდა ამ ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი.

**1926 წლიდან** დღის წესრიგში დგება ახალგაზრდებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება. პარტიამ თავის XV კონფერენციაზე საგანგებოდ აღნიშნა ამ საქმისადმი პროფკავშირის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა. კონფერენციის რეზოლუციით იმ პერიოდიდან ფიზკულტურულ ორგანიზაციებში უპირატესობა მიეცა სექციურ მუშაობას.

**1927 წელს,** კალათბურთელთა გარდა, პირველ რესპუბლიკურ შეჯიბრებას ატარებენ კლასიკური სტილით მოჭიდავეები, ძალოსნები, მაგიდის ჩოგბურთელები და მოცურავეები.

ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობა **1928 წლისათვის** უკვე მთელს რესპუბლიკაში იგრძნობოდა. 3-9 ივლისს თბილისმა უმასპინძლა სრულიად საქართველოს პირველ ფიზკულტურულ დღესასწაულს, რომელმაც ცხადყო, რომ ფიზკულტურა და სპორტი უპასუხებს ცხოვრების მოთხოვნებს და მის მხარდამხარ მიაბიჯებს. დღესასწაული წინ უსწრებდა ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი პირველ საკავშირო სპარტაკიადებს. ორივე ღონისძიება იმავე წელს გაიმართა. მოსკოვში საქართველოს სპორტსმენები გამოდიოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად. ფედერაციის გუნდი, როგორც ყველაზე ინტერნაციონალური კოლექტივი, საგანგებო პრიზით დაჯილდოვდა.

**1929 წლის** 23 სექტემბერს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება ფიზკულტურული მუშაობის ძირეული გარდაქმნის შესახებ, რომელმაც დაგმო „რეკორდსმენული გადახრები“ და პარალელიზმი ფიზკულტურულ მოძრაობაში. ამ წელს ჩვენმა სპორტსმენებმა შინ გამართეს ორი საერთაშორისო შეჯიბრება — თბილისში სტუმრად იყვნენ ფრანგი ველოსიპედისტები და გერმანელი ფეხბურთელები.

დასასრულ არ შეიძლება არ გავიხსენოთ იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას ჩვენს რესპუბლიკაში. ესენი იყვნენ: გ. ეგნატაშვილი, გ. და თ. ნიკოლაძეები, გ. მღებრიშვილი, გ. ბერელაშვილი, დ. ჯავრიშვილი, გ. მერკვილაძე, ი. კიზირია, გ. გორგაძე, ლ. გოლოვნია, ი. ასლანიშვილი, ა. ბაქრაძე, ძმები ვ. და ლ. პროკოფიევები, ა. წერეთელი, პ. მარღანიძე, ი. კუკავაძე, ძმები ბ. და ვ. დიაჩკოვები... ფიზკულტურული მოძრაობის ენთუზიასტები ნებაყოფლობით მიემგზავრებოდნენ რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში, რათა ხელი შეეწყოთ იქ მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვისათვის.

პუბლიკაცია მოამზადა თ. გაჩეჩილაძემ.

(გაგრძელება იქნება).

## გახსენება

**საბჭოთა** ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს სხვა მრავალ საზრუნავთან ერთად ერთი მთავარიც გაუჩნდა — ჰარმონიულად განვითარებული, ახალი მრწამსით აღჭურვილი, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძლიერი მოქალაქეების ჩამოყალიბება. ამისთვის კი საჭირო იყო სპეციალური ფიზკულტურული ინსტიტუტი და სასწავლებლები, მაგრამ დასაწყისისთვის მოკლევადიანი კურსებიც გამოდგებოდა...

და აი, პირველი ასეთი კურსები ოციან წლებში ჯერ ბათუმში გაიხსნა, შემდეგ კი თბილისში.

ეს სურათი ამ ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ არის გადაღებული და დღემდე ქართული საბჭოთა სპორტის ამაგდარის, პატივცემული გიორგი მერკვილაძის პირად არქივში ინახება. სურათი



გადაღებულია ფიზკულტურის მასწავლებლების მოსამზადებელი კურსების პირველ გამოსაშვებ გამოცდაზე. მარცხნიდან მეხუთე ზის **გიორგი მერკვილაძე,** მეექვსე კი კურსების ხელმძღვანელი, ტანმოვარჯიშე და ბალეტმეისტერი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **დავით ჯავრიშვილი.**

ვ. როსტიაშვილი.

## დიდი ინტერესი

### გამოიწვია ლეგენდარული მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის მემორიალმა

**როგორც ვიუწყებოდით, 4-9 მაისს თელავში ჩატარდა საბჭოთა კავშირის გმირის, მე-18 არმიის მეთაურის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის მემორიალი კრივში.**

ასპარეზობაში 9 მოკავშირე რესპუბლიკისა და მოსკოვის 113 მოკრივე გამოვიდა. დიდი იყო ტურნირისადმი ინტერესი — მან 4 ათასიანი აუდიტორია შეკრიბა.

ტურნირი მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა, მას განსაკუთრებული ელფერი შემატა მე-18 არმიის ვეტერანების, მეომრეთა სტუმრობამ — აქ იყვნენ მე-18 არმიის ოპერატიული განყოფილების ყოფილი უფროსი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ნ. ა. სოლოვიოვი, ამავე არმიის სანიტარული ნაწილის ყოფილი უფროსი, მედიცინის სამსახურის გადამდგარი გენერალ-მაიორი ნ. გ. კოსტოვი, სხვა მეომრეები: მ. მ. კუშირი, თ. პ. გოთუა, ა. ი. ჟაბოტენკო, აგრეთვე, კონსტანტინე ლესელიძის ქალიშვილი და შვილიშვილი...

მე-18 არმიის ვეტერანები იყვნენ თელავისა და ახლომდებარე სოფლების საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მასპინძლები დიდი ინტერესით უსმენდნენ საპატიო სტუმრებს იმ ბობოქარ დღეთა დიდების მოსაგონარს...

რინგზე კი ფიცხელი ბრძოლები გრძელდებოდა. 9 მაისს გამოვლინდნენ ამ ტრადიციული მემორიალის გამარჯვებულნი (წონითი კატეგორიების მიხედვით): 48 კგ. ი. ვანინი („შრომითი რეზერვები“, ვოლგოგრადი), 54 კგ. ზ. ტიბუა („ბურევესტნიკი“, თბილისი), 57 კგ. ა. ტკაჩენკო („ავანგარდი“, ჟდანოვი), 60 კგ. ბ. გოგაშვილი („შრომითი რეზერვები“, რუსთავი), 63,5 კგ. დ. ყურაშვილი („ბურევესტნიკი“, თბილისი); 67 კგ. ს. მარტინენკო („ლოკომოტივი“, დონის როსტოვი); 71 კგ. გ. თათაროვი (ასკ, თბილისი); 81 კგ. გ. შუშანიანი („კოლმეურნე“, ახალციხე), 91 კგ. ო. დედიუშკო („სპარტაკი“, მინსკი), 91 კგ-ს ზევით. თ. ჯიმშელეიშვილი („კოლმეურნე“, წყალტუბო).

აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობაზე სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულეს ყურაშვილმა, თათაროვმა და შუშანიანმა.

მ. ჭკადუა.



სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

## ცნობები ადგილებიდან

### მასპინძლებმა ყველას აჯობეს

**ახმეტის** კულტურის სახლში დამთავრდა „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა „სამბოში“. შეჯიბრებაში 16 გუნდის 100-ზე მეტი მოჭიდავე გამოვიდა.

გუნდურ პირველობაში საუკეთესო იყო მასპინძელთა ნაკრები. II ადგილზე გამოვიდა თელავის, ხოლო III — საგარეჯოს გუნდი.

გ. აბრამიშვილი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

### 5 სახეობაში

**ბათუმში** გაიმართა საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ჭადრაკი, ცურვა, ველორბოლა, ტანვარჯიში და ტყვიის სროლა.

სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ: „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „ვოდნიკის“, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივისა“ და ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის ნაკრები გუნდები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ნორჩმა სპორტსმენებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ველორბოლაში, ტყვიის სროლასა და ტანვარჯიშში. მეორე ადგილზე გავიდნენ „განთიადის“ მოჭადრაკეები და მოცურავეები.

დინამოელებმა III ადგილი დაიკავეს.

შ. ტაბალუა,

სპარტაკიადის მთავარი მსაჯი. ბათუმი.

### ზედიზედ მესამედ

**ხაშურის** ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა რაიონული პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტული საზოგადოებების ნაკრები გუნდები. შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართა. კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა „განთიადის“ რაისაბჭომ (თავმჯდომარე ზ. მოსეშვილი). მან ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა და ზედიზედ მესამედ გახდა რაიონის ჩემპიონი. გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ ც. დევაძე, ე. სტეფანოვა, მ. ლონლაძე, ი. ჯანაშვილი და ე. კაკიაშვილი. II ადგილზე გავიდა „სპარტაკი“, ხოლო III — „კოლმეურნე“. აღსანიშნავია, რომ ქალებში ყველა შეხვედრა მოიგო ნ. ტურაშვილმა, ხოლო ვაჟებში — ი. ჯანაშვილმა.

ვ. ნოზაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# I ლიგა

## „ტორპედო“ (ქუთაისი) — ასკ (ოდესა) 2:2 (2:1)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 მაისი.

**„ტორპედო“:** მ. კვერნაძე, ქორიძე, გოგოლაძე, გვაძაბია, ფარულავა (ფანჩულიძე), ოქროპირაშვილი, გაბიჩვაძე, შელია, ჩქარეული, დარჯანია, ა. კვერნაძე.

**ასკ:** მაყაშვილი (ოსტაშენკოვი), შჩერბინა, სოკოლოვსკი, ნიკოლაენკო, კობიშჩა, ესებუა (კორობოჩკა), ბონდარი (საფრონენკო), სმაროზოვი, ვ. მალი, ი. მალი, ტარანი.

მსაჯი ნ. ოვსიანიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:2.

ეს იყო I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ლიდერთა მეტად საინტერესო, პრინციპული შეხვედრა და იგი შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა. უნდა ითქვას, რომ ტორპედოელები გამარჯვებით დაამთავრებდნენ ამ პასუხსაგებ მატჩს, რომ მეტი სიზუსტე გამოეჩინათ შეტევის დამთავრებისას. ჯერ კიდევ მაშინ, როცა გუნდი პირველად დაწინაურდა, არმიელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა. შემდეგ, თამაშის დასასრულს, ოდესელთა მეკარე მაყაშვილს კვლავ მოუხდა მთელი თავისი ოსტატობის ჩვენება.

მასპინძლებმა ანგარიში საკმაოდ მალე გახსნეს — მე-9 წუთზე. გაბიჩვაძემ და ა. კვერნაძემ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, შემდეგ ღია პოზიციაში აღმოჩნდა დარჯანია, რომელმაც ოსტატური გოლი გაიტანა — 1:0.

ამის შემდეგ ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს დარჯანიამ, ა. კვერნაძემ, გაბიჩვაძემ, 28-ე წუთზე კი ოდესელებმა კონტრიერიში განახორციელეს და ვ. მალიმ აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

ტაიმის დასასრულს ტორპედოელები კვლავ უტევდნენ, ერთერთ მომენტში საუკეთესოდ ითამაშა ჩქარეულმა და წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

შესვენების შემდეგ ტორპედოელებმა რატომღაც დაცვით ტაქტიკას მიმართეს, მოუკლეს იერიშებს, რითაც კარგად ისარგებლა ესებუამ და 54-ე წუთზე შორიდან გაიტანა მეორე გოლი.

დარჩენილ დროში ქუთაისელებს კიდევ მიეცათ შესაძლებლობა გაეტანათ ბურთი, მაგრამ ისინი კვლავ არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

**ზ. ნიჟარაძე,**
**(ტელეფონით ჩვენი კორ.).**

## სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:3, „კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (კიევი) 2:4, „პრიკარპატიე“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (კოსტრომა) 2:1, „ტრაქტორი“ (პავლოდარი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 14 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ ოდ. | 9 | 5 | 3 | 1 | 12—4 | 13 |
| „მეტალისტი“ | 9 | 5 | 2 | 2 | 11—5 | 12 |
| „კოლოსი“ | 9 | 5 | 2 | 2 | 9—5 | 12 |
| „ტორპედო“ | 9 | 5 | 2 | 2 | 10—8 | 12 |
| „გურია“ | 9 | 4 | 3 | 2 | 9—7 | 11 |
| „ლოკომოტ.“ | 9 | 4 | 2 | 3 | 12—10 | 10 |
| „სპარტაკი“ კ. | 9 | 4 | 2 | 3 | 6—5 | 10 |
| ასკ ხ. | 9 | 4 | 1 | 4 | 9—9 | 9 |
| „ისკრა“ | 9 | 4 | 1 | 4 | 7—7 | 9 |
| „შინიკი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 11—8 | 9 |
| ასკ კ. | 9 | 3 | 3 | 3 | 9—7 | 9 |
| „პამირი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 7—7 | 9 |
| „სპარტ.“ ორ. | 9 | 3 | 3 | 3 | 6—7 | 9 |
| „ფაკელი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 10—9 | 8 |
| „დინამო“ | 9 | 3 | 2 | 4 | 8—10 | 8 |
| „კარპატი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 7—9 | 8 |
| „ჟალგირისი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 7—9 | 8 |
| „ნისტრუ“ | 9 | 3 | 2 | 4 | 6—11 | 8 |
| „ტრაქტორი“ | 9 | 2 | 4 | 3 | 7—8 | 8 |
| „მეტალურ.“ | 9 | 2 | 4 | 3 | 9—13 | 8 |
| „ზარია“ | 9 | 1 | 6 | 2 | 5—5 | 8 |
| „პრიკარპატ.“ | 9 | 2 | 3 | 4 | 6—8 | 7 |
| „კუზბასი“ | 9 | 2 | 2 | 5 | 6—10 | 6 |
| „ბუსტონი“ | 9 | 1 | 3 | 5 | 4—12 | 5 |

● ძიუდო

# ოთხნი ნაკრებში

**გუშინწინ** უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ოთხი ქართველი ძიუდოისტი გამოვა — მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **შ. ხაბარელი** (78 კგ), მსოფლიოს ჩემპიონი, XXII ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **თ. ხუბულური** (95), **დ. ბოდაველი** (86) და **თ. კარიაული** (71). მათ გარდა ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ძერჟინსკელი **მ. მორგალევი** (60), ოლიმპიური ჩემპიონი, კურსკელი **ნ. სოლოდუხინი** (65), ჩელიაბინსკელი **გ. ვერიჩევი** (მძიმე წონა) და მაიკოპელი **ვ. გურინი** (აბსოლუტური კატეგორია).

# უმაღლესი ლიგა

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის კალენდარული მატჩები ფეხბურთში:

„არარატი“ — „დნეპრი“ 3:0

„ზენიტი“ — ასკ რ. 1:0

„დინამო“ მნ. — „ნეფთჩი“ 1:1

„ყუბანი“ — „დინამო“ კ. 0:2

„ტავრია“ — „ჩერნომორეცი“ 1:0

„დინამო“ მ. — „ფახთაქორი“ 1:2

□

# II ლიგა

**IX ზონა**

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 14 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 10 | 6 | 3 | 1 | 16—5 | 15 |
| „ყარაბახი“ | 10 | 5 | 3 | 2 | 13—8 | 13 |
| „ლოკომ.“ ს. | 10 | 4 | 5 | 1 | 12—4 | 13 |
| „დინამო“ ს. | 10 | 4 | 4 | 2 | 13—10 | 12 |
| „ხაზარი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 12—10 | 11 |
| „დილა“ | 10 | 4 | 3 | 3 | 14—13 | 11 |
| „ლოკ.“ თბ. | 10 | 4 | 2 | 4 | 10—10 | 10 |
| „შირაკი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 10—8 | 9 |
| „კოლხეთი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 7—5 | 9 |
| „არაზი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 4—8 | 9 |
| „სპარტაკი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 13—13 | 8 |
| „კოლხოზჩი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 10—12 | 8 |
| „პროგრესი“ | 10 | 2 | 4 | 4 | 7—13 | 8 |
| „მეტალურ.“ | 10 | 2 | 3 | 5 | 5—14 | 7 |
| „ავტომობ.“ | 10 | 2 | 2 | 6 | 12—19 | 6 |
| „დინამო“ ბ. | 8 | 2 | 1 | 5 | 4—10 | 5 |

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

## პირველი ჯგუფი

### I ქვეჯგუფი

**„ალგეთი“ (მარნეული) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

მასპინძელთაგან 2 ბურთი გაიტანა ახმეტოვმა, რასაც თითო გოლით უპასუხეს ხუცურაულმა და ბაბუხადიამ.

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).**

ბურთები გაიტანეს არევაძემ და ვასაძემ.

**„ვარძია“ (ასპინძა) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 3:3. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).**

მასპინძელთა გოლები ეკუთვნით ლონდარიძეს, გიორგაძეს და პ. ქავთარაძეს, სტუმრებისა — კვარაცხელიას, მეჭვაბიშვილსა და ბაკურაძეს.

**„არმაზი“ (მცხეთა) —ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

**„თორი“ (ბორჯომი) — „ავიატორი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

ავიატორელთა გუნდის წევრთაგან გააფრთხილეს ე. ძიძიგური და გ. ქარქაშაძე, ხოლო ბორჯომელთაგან — ნ. გოგოლაძე.

**„ქართლი“ (გორის რაიონი)— „მადნეული“ (ბოლნისი) 3:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა ნოზაძემ, 1— მაისურაძემ, მასპინძლებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (უგულავა).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

ტალახაძემ და ლაკოევმა ორჯერ აიღეს „მალაროელის“ კარი, ერთი გოლი გაქვითა არჩვაძემ.

**ასკ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 0:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

გააფრთხილეს თელაველი ფეხბურთელები გ. იაშვილი და ლ. რევაზიშვილი.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 13 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტ.“ თბ. | 9 | 5 | 4 | 0 | 10—2 | 14 |
| „მალაროელი“ | 9 | 5 | 3 | 1 | 22—7 | 13 |
| „ქართლი“ | 9 | 6 | 1 | 2 | 15—9 | 13 |
| „მეშახტე“ | 9 | 4 | 4 | 1 | 16—8 | 12 |
| „ალაზანი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 14—11 | 11 |
| „ივერია“ | 9 | 5 | 1 | 3 | 13—10 | 11 |
| „დურუჯი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 11—12 | 11 |
| „ალგეთი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 14—12 | 9 |
| „კახეთი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 11—9 | 9 |
| „ავტომობ.“ | 9 | 2 | 5 | 2 | 10—10 | 9 |
| „მადნეული“ | 9 | 4 | 1 | 4 | 10—14 | 9 |
| „ავიატორი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 13—14 | 8 |
| „სპარტ.“ ცხ. | 9 | 3 | 2 | 4 | 5—8 | 8 |
| „არმაზი“ | 9 | 1 | 4 | 4 | 6—9 | 6 |
| ფიზკ. ინსტ. | 9 | 2 | 2 | 5 | 6—13 | 6 |
| „ვარძია“ | 9 | 2 | 1 | 6 | 10—15 | 5 |
| „თორი“ | 9 | 1 | 2 | 6 | 5—16 | 4 |
| ასკ თბ. | 9 | 1 | 2 | 6 | 8—20 | 4 |

# საქართველოს პირველობა

### II ქვეჯგუფი

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „დინამო“ (ქუთაისი) 1:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

ერთადერთი ბურთი 88-ე წუთზე გაიტანა ქუმსიაშვილმა.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მზიური“ (გალი) 1:2. მსაჯი რ. ძოძუაშვილი (თბილისი).**

ტყებუჩავას მიერ გატანილი პენალტით პირველ ტაიმში დაწინაურდნენ ცხაკაიელები. შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა, რომლებმაც 2 ბურთი გაიტანეს (კაკავა, ზაქარაია).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სულორი“ (ვანი) 3:1. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).**

მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს: ძალამიძემ, გუნიამ და ჭითანავამ, „სულორის“ მხრივ — ჯ. ვერულაშვილმა.

გაფრთხილებულია ოჩამჩირელი გ. გოგოლაშვილი.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

გააფრთხილეს წალენჯიხელი გ. ზარქუა და ზუგდიდელი გ. ნაჭყებია.

**„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:2. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).**

გაფრთხილებები მიიღეს საჩხერელმა ფეხბურთელებმა ნ. გაფრინდაშვილმა და თ. გათიკოევმა.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 0:2. მსაჯი ნ. მუხაშავრია ბათუმი).**

**„იმერეთი“ (წულუკიძე) — „გიგანტი“ (ლაითური) 2:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

ორივე ბურთი პენალტებით გაიტანა ანდრიაძემ.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

მეტალურგთა გოლები ეკუთვნით ლაბაძესა და გუმბერიძეს, „შუქურასი“ — ჩაზმავას და ოქროპირიძეს.

გაფრთხილებულია ქობულეთელი გ. ცანავა.

**„ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

ბურთი გაიტანა ციმაკურიძემ.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 13 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ზუგ. | 9 | 5 | 4 | 0 | 12—4 | 14 |
| „სულორი“ | 9 | 5 | 3 | 1 | 13—4 | 13 |
| „მეტალურგი“ | 9 | 4 | 4 | 1 | 14—6 | 12 |
| „შუქურა“ | 9 | 5 | 2 | 2 | 14—7 | 12 |
| „ნაკადული“ | 9 | 4 | 4 | 1 | 12—9 | 12 |
| „ბახმარო“ | 9 | 5 | 1 | 3 | 13—8 | 11 |
| „გიგანტი“ | 9 | 3 | 4 | 2 | 10—9 | 10 |
| „ჩიხურა“ | 9 | 4 | 2 | 3 | 12—12 | 10 |
| „მზიური“ | 9 | 3 | 3 | 3 | 11—9 | 9 |
| „სალხინო“ | 9 | 3 | 3 | 3 | 11—9 | 9 |
| „იმერეთი“ | 9 | 2 | 4 | 3 | 7—7 | 8 |
| „კოლხეთი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 11—12 | 8 |
| „მერცხალი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 7—8 | 8 |
| „სქური“ | 9 | 2 | 3 | 4 | 11—15 | 7 |
| „ამირანი“ | 9 | 2 | 0 | 7 | 12—23 | 4 |
| „დინამო“ ქ. | 9 | 1 | 2 | 6 | 5—18 | 4 |
| „ეგრისი“ | 9 | 0 | 3 | 6 | 6—19 | 3 |

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

# სპორტკლუბების საქალაქო სპარტაკიადა

**თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო დედაქალაქის წარმოებადაწესებულებათა სპორტკლუბების მორიგი სპარტაკიადა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 60 წლისთავს ეძღვნება.**

სპარტაკიადის პროგრამაშია 11 სახეობა. ბრძოლაში პირველნი ჩაებნენ მაგიდის ჩოგბურთელები. ისინი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს დარბაზში ასპარეზობენ და შედეგებს 15 მაისს შეაჯამებენ.

დღეს და ხვალ საქართველოს სპორტკომიტეტის დარბაზი უმასპინძლებს ძალოსნებს. ხვალ კი კიროვის სახელობის პარკის მოედანზე დაიწყება და 23 მაისამდე გაგრძელდება ხელბურთელთა შეჯიბრებები.

თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს ბაზაზე (პლეხანოვის გამზირი № 115) 20-28 მაისს ჩატარდება შეჯიბრებები ფრენბურთში. 23-24 მაისს მოცურავეები ურთიერთობას გაარკვევენ სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობას საწარმოო გაერთიანების აუზში. (წერეთლის გამზ. № 117).

23-24 მაისს კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის ტირი მიიღებს ტყვიის მსროლელებს.

კალათბურთელთა ტურნირი 23 მაისს დაიწყება და 8 დღეს გაგრძელდება პლასტმასის ქარხნის დარბაზში (მაგნიტოგორსკის ქ. № 7).

28-31 მაისს ჭადრაკის სასახლეში გაიმართება შეხვედრები ჭადრაკში.

„ლოკომოტივის“ სტადიონი ორ დღეს (23-24 მაისს) უმასპინძლებს მძლეოსანთა ტურნირს.

29 მაისს აქვე დაიწყება შეჯიბრებები მშთ მრავალჭიდში, რომელიც შემდეგ „ლოკომოტივის“ აუზში და 26 კომისრის სახელობის რაიონის დოსააფის ტირში გაგრძელდება.

სპარტაკიადა ქართულ მოჭიდავეთა ასპარეზობით დამთავრდება. ამ სახეობის მოყვარულნი თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს დარბაზში (ორჯონიკიძის ქ. № 48) 30-31 მაისს საინტერესო ბრძოლების მოწმენი გახდებიან.

# გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა

**12 მაისს** ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა მეტად საინტერესო საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ევროპაში სტუმრად მყოფმა ბრაზილიის ნაკრებმა ითამაშა ინგლისის გუნდთან. მატჩს 75.000 მაყურებელი დაესწრო.

თამაში მოიგეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მე-11 წუთზე გაიტანა ზიკომ.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ჰოლანდია

XXIX ტურის შემდეგ ჩემპიონი უკვე ცნობილი გახდა: „აც 67 ალკმაარმა“, რომელიც მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლიდერობდა, როტერდამში დიდი ანგარიშით (5:1) დაამარცხა „ფეიენოორდი“ და 51 ქულით გაინაღდა პირველი ადგილი. ყურადღებას იპყრობს ალკმაარელთა მაღალი შედეგიანობა: 28 თამაშში (1 მატჩი გამოტოვებულია) გუნდმა 84 ბურთი გაიტანა და მიიღო 22.

მძაფრი ბრძოლაა მეორე ადგილისთვის. ახლა „უტრეხტს“ 40 ქულა აქვს, „ფეიენოორდს“ —39, ამსტერდამის „აიაქსს“ — 38 (1 გამოტოვებული მატჩი), „პსვ ეინდჰოვენს“ — 37.

### პორტუგალია

27-ე ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ლისაბონში. ლიდერი—„ბენფიკა“ შეხვდა შარშანდელ ჩემპიონს — „სპორტინგს“. ფრე— 1:1. ამრიგად, „ბენფიკამ“ 46 ქულა მოაგროვა, მას 2 ქულით ჩამორჩება „პორტო“, რომელმაც სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა „პენაფიელთან“. მესამე ადგილზე მყოფ „სპორტინგს“ (ლისაბონი) 33 ქულა აქვს.

### იტალია

ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე პირველი ადგილის პრეტენდენტთა რიცხვი სამიდან ორამდე შემცირდა. 27-ე ტურში „ნაპოლიმ“ შინ ფრედ ითამაშა „ფიორენტინასთან“ (1:1) და ჩემპიონობის ყოველგვარი შესაძლებლობა დაკარგა. ახლა დავა გრძელდება „იუვენტუსსა“ და „რომას“ შორის. „იუვენტუსმა“ მიიღო „აველინო“ და გაიმარჯვა ერთადერთი გოლის წყალობით, რომელიც 81-ე წუთზე გაიტანა მცველმა კაბრინიმ. „რომამ“ სასტიკი მარცხი (5:0) აგემა „პერუჯას“. მოულოდნელი იყო „ინტე-

**ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები**

რის“ წაგება მილანში „ასკოლისთან“ — 1:2.

ახლა „იუვენტუსს“ 39 ქულა აქვს, „რომას“ — 38, „ნაპოლის“ —36, „ინტერს“ 31.

### ავსტრია

29-ე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გრაცის კლუბები „შტურმი“ და „გრაცერ აკ“. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა „შტურმმა“. ახლა მას 38 ქულა აქვს. ვენის „აუსტრიამ“ ანგარიშით 1:0 მოუგო ამავე ქალაქის „ადმირა-ვაკერს“ და 37 ქულა მოაგროვა. ვენის „რაპიდმა“ მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა (5:3) „ვინერ შპორტკლუბ-პოსტი“, 35 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზეა.

# წუთიერი დუმილით

**ონის** რაიონის ირის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. შერაზადიშვილი) მრავალფეროვანი ღონისძიებანი ტარდება მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

ამას წინათ უფროსკლასელთა მონაწილეობით ჩატარდა ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ონი—ქვაისა—ქვედა ტბა — სოფელი ქედი—ირი.

ქედში მოსწავლეები იყვნენ საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი მაისურაძის საფლავზე და წუთიერი დუმილით პატივი სცეს გმირის ხსოვნას.

**ნ. დუშუაშვილი,**
**(„ლელოს“ კორ.).**

## საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

# ქეთევან ლოსაბერიძის მორიგი გამარჯვება

**ლვოვში** დამთავრდა მშვილდოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — „გაზაფხულის ისრები“. ასპარეზობაში 13 ქვეყნის 135 სპორტსმენი მონაწილეობდა.



ქალთა შორის შესანიშნავად გამოვიდა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი **ქეთევან ლოსაბერიძე.** მან პირველი დღიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა — უახლოეს მეტოქეს ტაშკენტელ ო. როგოვას დროდადრო 10-15 ქულით ასწრებდა. საბოლოოდ კი მ-2 ვარჯიშში ქეთევანმა 2576 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. როგოვა 2564 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. მესამე იყო ოლიმპიადა-80-ის ვერცხლის პრიზიორი მოსკოველი ნ. ბუტუზოვა — 2557.

ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი იყო ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი ვ. ეშეევი (ჩიტა) — 2590. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბრესტელი ბ. ისაჩენკო — 2541 და ხარკოველი ა. გაბილკოვი—2540.

უცხოელებიდან საუკეთესო შედეგები მოიპოვეს: ქალთა შორის — მ. დაჰნერმა (გფრ) — 2464, ვაჟთა შორის — ფინელმა პ. ლაუპაოლამ — 2465. მათ შესაბამისად XII და IX ადგილები დაიკავეს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ა. ბალოვმა** განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ლოსაბერიძისა და ეშეევის სტაბილურ შედეგებს. აღნიშნა, რომ ნაკრების წევრებმა ახალი საზაფხულო სეზონი კარგად დაიწყეს. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ვაჟთა ნაკრებმა ამერიკელთა მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

— ახლა ჩვენი ამოცანაა მეტი გულმოდგინებით შევარჩიოთ ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც ვეტერანებთან ერთად საბჭოთა მშვილდოსნების მონაპოვართა განმტკიცებისთვის იბრძოლებს მსოფლიო ჩემპიონატზე (იგი იტალიის ქალაქ პუნტა-ალაში 9-12 ივნისს გაიმართება) და სხვა საერთაშორისო ტურნირებზე. — თქვა დასასრულს ბალოვმა.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: ქ. ლოსაბერიძე ერთ-ერთი ასპარეზობის შემდეგ.**

# დ. ა. მაჭავარიანი



**77 წლისა** გარდაიცვალა საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, სკკპ წევრი 1939 წლიდან, დიდი სამამულო ომის მონაწილე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე დავით ალექსანდრეს ძე მაჭავარიანი.

დ. ა. მაჭავარიანი ეკუთვნოდა ქართველ სპორტსმენთა იმ თაობას, რომელმაც გ. ეგნატაშვილთან, ა. ბაქრაძესთან, გ. ბერიძესთან, გ. მერკვილაძესთან, ლ. ყანჩაველთან და ფიზკულტურული მოძრაობის სხვა ცნობილ პიონერებთან ერთად პირველად შედგა ფეხი დიდ სპორტულ სარბიელზე. დავით მაჭავარიანი 60 წლის განმავლობაში მთელს თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას ახმარდა საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას, სპორტსმენთა მომავალი თაობის აღზრდას, სპორტის სხვადასხვა სახეობათა პოპულარიზაციას. იგი იყო მრავალმხრივი სპორტსმენი. დ. ა. მაჭავარიანის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში სპორტის ისეთი უძველესი სახეობის აღდგენა, როგორიც არის ფარიკაობა, ძიუდოს პირველი სექციის შექმნა, მხატვრული ტანვარჯიშის დამკვიდრება.

მოსკოვის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დ. ა. მაჭავარიანი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმსა და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1972 წლამდე იყო ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული ნაშრომი ფიზიკური აღზრდის დარგში, მათ შორის ფიზიკური აღზრდის პირველი მეთოდური სახელმძღვანელო.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდან დ. ა. მაჭავარიანი საბჭოთა არმიის რიგებში იყო. მეთაურობდა ასეულს, ბატალიონს. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საყვარელ საქმეს და პენსიაზე გასვლამდე უანგაროდ ემსახურებოდა ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მისი ხელმძღვანელობით ბევრი ეზიარა სპორტს და წარმატებით იცავდა რესპუბლიკის ღირსებას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე.

შესანიშნავი პედაგოგის, ქართული სპორტის ენთუზიასტის, გულისხმიერი ადამიანისა და კარგი ამხანაგის დავით მაჭავარიანის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მრავალრიცხოვან კოლეგებსა და მეგობრებს შორის.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;**
**რესპუბლიკის სპორტის ვეტერანთა საბჭო;**
**თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი.**

# დამთავრდა ხელბურთელთა ჩემპიონატი

**სსრ** კავშირის მე-20 საიუბილეო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის ბოლო დღე განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩეოდა, რადგან სწორედ ამ შეხვედრებში უნდა გარკვეულიყო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების ბედი.

როგორც ცნობილია, ჩემპიონი ადრევე გაირკვა — მინსკის არმიელები ბოლო მატჩს კაუნასის „გრანიტასთან“ ჩემპიონის რანგში ატარებდნენ და არავის გაკვირვებია, რომ „გრანიტასმა“ შეძლო მეტად საჭირო ორი ქულის მოპოვება — 39:31 (23:17). ამ მოგებამ კაუნასელებს ვერცხლის მედლები მოუტანა.

ფრედ — 27:27 (15:15) დამთავრდა კიევის არმიელთა და „კუნცევოს“ მატჩი.

მედლების ერთი კომპლექტი, ამჯერად ბრინჯაოსი, გათამაშდა მესამე მატჩში. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ამ მედლების პრეტენდენტები მოსკოვის ცსკასა და თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები.

**თბილისელმა სტუდენტებმა ეს გადამწყვეტი შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარეს, დაამარცხეს მეტოქე — 31:27 (15:15) და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.**

აღსანიშნავია, რომ თბილისელთა გუნდის ბომბარდირმა ა. ანპილოგოვმა მეტოქის კარში 19 ბურთი გაიტანა.

ზედიზედ 16 წლის მანძილზე ქვეყნის ჩემპიონატში იმარჯვებდა მოსკოვის რომელიმე გუნდი, ამჯერად კი მოსკოველები საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ. მინსკელების გამარჯვება სრულიად დამსახურებულია და კანონზომიერი — შარშან მათ ხომ სსრ კავშირის თასი მოიგეს. წარმატებით იასპარეზეს ლიტველმა და ქართველმა ხელბურთელებმა. რამდენადმე მოულოდნელი იყო ცსკა-ს წარუმატებლობა.

(საკდესი).

**გათამაშების საბოლოო ცხრილი**

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ მინსკი | 19 | 7 | 6 | 814—743 | 45 |
| „გრანიტ.“ | 20 | 4 | 8 | 893—852 | 44 |
| „ბურ.“ თბ. | 20 | 3 | 9 | 851—835 | 43 |
| ცსკა | 19 | 4 | 9 | 853—771 | 42 |
| „კუნცევო“ | 16 | 6 | 10 | 800—745 | 38 |
| ასკ კიევი | 12 | 3 | 17 | 782—788 | 27 |

## მსოფლიო რეკორდებით

**ნოვოსიბირსკში** მიმდინარე ძალოსანთა საკავშირო პირველობაზე კიდევ ორ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ ჩემპიონები. 56 კგ-ში „ოქრო“ მოიგო კემეროველმა სტუდენტმა ნ. ზახაროვმა — ორჭიდში 275 კგ მოაგროვა. ეს მსოფლიო რეკორდია. „ვერცხლი“ ერგო მის ტყუპისცალ ძმას ვლადიმერს—257,5, „ბრინჯაო“ — მინსკელ რ. დიუს —255.

60 კგ წონაში შახტინსკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. მაზინმა 134 კგ აიტაცა დამატებით ცდაზე. ესეც მსოფლიო რეკორდია. მაგრამ მაზინი ორჭიდში II ადგილს დასჯერდა. მას საკუთარი ნაკლები წონის წყალობით „ოქრო წაართვა“ ნოვოსიბირსკელმა ვ. გოლოვკომ. ორივეს შედეგია 290 კგ.

# 16 მაისს იპოდრომზე

**საქართველოში** საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნება დიდი საცხენოსნო-სპორტული ზეიმი, რომელიც 16 მაისს თბილისის იპოდრომზე გაიმართება. ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის სხდომაზე (თავმჯდომარე ლ. შარაშენიძე) გადაწყდა, რომ ზეიმში მონაწილეობას მიიღებს ასზე მეტი მხედარი. აღლუმის შემდეგ ცხენთგამოცდის პროგრამით ჩატარდება დოღები და რბოლები. გათამაშდება ტრადიციული და სახელობითი პრიზები. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე) თაოსნობით ზეიმის დღეებში დედაქალაქში ჩამოვლენ სოფლის მხედრები. ისინი მაყურებელს უჩვენებენ ეროვნულ თამაშებს. ცხენოსნობის საერთაშორისო სახეობათა პროგრამით კი გამოვლენ რესპუბლიკისა და საკავშირო ასპარეზობათა ჩემპიონები და პრიზიორები. გარდა ამისა, ზეიმს დაამშვენებს ნორჩი ცხენოსნების გამოსვლა — სიჩაუქეს გვიჩვენებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის აღსაზრდელები. აქვე მაყურებელი შეხვდება თუშურ ცხენებზე ამხედრებულ ტურისტებს, ნახავენ უხუცესი მხედრების საჩვენებელ გამოსვლებს. იპოდრომის ტერიტორიაზე ბევრს საშუალება ექნება ეტლებით ისეირნოს. ფედერაციას კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექციამაც აღუთქვა დახმარება. ასე რომ, 16 მაისს იპოდრომზე ქართული ფილმების ცოცხალ კადრებსაც ვიხილავთ.

ფედერაციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძე, სპორტული საზოგადოებების „კოლმეურნის“, „დინამოს“ საბჭოების, იპოდრომისა და თბილისის საცხენოსნო ბაზის ხელმძღვანელი მუშაკები.

**თ. ჭეველი.**





**ქ. თბილისის სპორტკომიტეტის ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი**

**(ი. სტალინის სახელობის სანაპირო)**

16—21 მაისი

**წყალბურთი**

III ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი იტალიის, კუბის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

შეჯიბრების დასაწყისი:
**16, 18, 19, 20, 21 მაისს** — 17 საათზე.
**17 მაისს** — 16 საათზე.

ბილეთები გაიყიდება ცენტრალური კომპლექსის სალაროებში დილის 10 საათიდან.

● **ჭადრაკი**

# ლიდერი არ იცვლება

**სამტრედია, 13 მაისი (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.).** ქალაქის საჭადრაკო კლუბში გრძელდება საქართველოს ქალთა 37-ე ჩემპიონატი. გაიმართა V, VI ტურები და I ტურის გადადებული პარტიების დამთავრება.

კვლავ გაიმარჯვა თ. მესხმა (ქუთაისი), რომელმაც ამჯერად ფარხმალი დააყრევინა მ. ლოლიშვილს (თბილისი). მასპინძელმა ზ. ხვედელიძემ მოუგო ქ. წკეპლაძეს (ქუთაისი). პირველი გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა ტ. ჭანტურიამ და მ. ვაჩეიშვილმა. პირველმა დაამარცხა მ. ჩაჩიბაია (ცხაკაია), მეორემ — ქ. არახამია (ოჩამჩირე). ი. კურცხალია (თბილისი) — ნ. ჭეფხოძის (ქუთაისი) შეხვედრა ყაიმით აღინიშნა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ი. აბზიანიძემ (ქუთაისი) სძლია ჭანტურიას, კურცხალიამ — ვაჩეიშვილს. საქართველოს ჩემპიონმა ც. ქასოშვილმა (გორი) — ქ. მარდალეიშვილს (თბილისი). დაზავდნენ ი. ესებუა (ქუთაისი) — არახამია და თბილისის ჩემპიონი მ. მახარაძე — ჭეფხოძე.

გუშინ, VI ტურში, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ოსტატების ქასოშვილისა და მესხის შეხვედრა. უშედეგოთ ბრძოლა ქასოშვილმა მოიგო.

ჭეფხოძემ დაამარცხა ხვედელიძე, ესებუამ — ჭანტურია. ყაიმზე შეთანხმდნენ ლოლიშვილი — ვაჩეიშვილი, აბზიანიძე — ე. ფახიროვა (ქუთაისი), ლ. აგაბაბიშვილი (რუსთავი) — მახარაძე და მარდალეიშვილი — ჩაჩიბაია.

6 ტურის შემდეგ თ. მესხს 5 ქულა აქვს, ც. ქასოშვილს — 4 ქულა და 2 გადადებული პარტია.

**გ. ბარბაქაძე,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯის მოადგილე, ოსტატობის კანდიდატი.**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მე-19 ტირაჟებისა, რომლებიც 9 მაისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16 ბარათი) მოგება 2922 მანეთია, ოთხისთვის (883 ბარათი) — 57, სამისთვის (18278 ბარათი) — 4.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (9 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1672 ბარათი) — 156, სამისთვის (62586 ბარათი) — 6.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 20 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**„ლოკომოტივის“ სტადიონი**
**(ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74)**
15 მაისი
**ფეხბურთი**
**საბჭოთა კავშირის პირველობა**
**II ლიგა**
**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაკანი)**
დასაწყისი 18 ს., 30 წ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, კოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
უე 02234